gnta.ge | georgia.travel

Georgia

შიდა ვიზიტორების მახასიათებლები

2024

2024 წელს შიდა ვიზიტორებმა მთლიანობაში 19.7 მილიონი ვიზიტი განახორციელეს, რაც 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს (19.2 მილიონი) 2.5%-ით აღემატება, ხოლო ყველაზე მეტი ვიზიტი ტრადიციულად წლის მესამე კვარტალში დაფიქსირდა.

ვიზიტების რაოდენობა



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ვიზიტორთა უდიდეს ნაწილს 31-50 წლის ვიზიტორები შეადგენდნენ (წილი ვიზიტებში 36.5%), ასევე მნიშვნელოვანი წილი უჭირავს 51-70 ასაკობრივ ჯგუფს (33.6%). მას მოსდევს 15-30 წლის (20.8%) და 71+ (9.2%) ასაკობრივი ჯგუფები. ვიზიტორთა განაწილება სქესის მიხედვით თანაბარია, ვიზიტორთა 55.6%-ს ქალები, ხოლო 44.4%-ს კაცები შეადგენდნენ.

ვიზიტები სქესისა და ასაკის მიხედვით





წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ვიზიტორთა ვიზიტების განაწილება ეკომონიკური სტატუსის მიხედვით შემდეგნაირია: ვიზიტორთა 39.5% დასაქმებულია; 17.5% - თვითდასაქმებული; 16.4%-ის სტატუსი განისაზღვრა როგორც პენსიონერი, 10.3% კი დიასახლისი; გამოკითხულთა 0.2%-მა არ ისურვა პასუხის გაცემა.

ვიზიტები ეკნომიკური სტატუსის მიხედვით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ვიზიტების 22.8% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოჰყვება ქუთაისი 8.1%-ით და ბათუმი 7.3%-ით. დანარჩენ ქალაქებსა და ადგილებში შედარებით ნაკლები ვიზიტები დაფიქსირდა, მათ შორის: რუსთავი (3.4%); მცხეთა (3.3%) და გორი (1.9%).

შიდა ვიზიტორების მიერ მონახულებული ტოპ ადგილები



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგიონულ დონეზე, ვიზიტების უდიდესი ნაწილი 22.8% თბილისში განხორციელდა, შემდეგ მოდის იმერეთი 20.8% და აჭარა 11.1%. დანარჩენი რეგიონებიდან ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა კახეთში 8.2%, ქვემო ქართლში 7.7%, მცხეთა-მთიანეთში 7.5% და შიდა ქართლში 6.8%.

მონახულებული რეგიონები დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში შიდა ვიზიტორების ვიზიტების უმრავლესობა (51.4%) მეგობრებისა და ნათესავების მონახულების მიზნით განხორციელდა. ვიზიტების 15.7% განხორციელდა შოპინგის მიზნით, ხოლო 11.4% დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით. ხშირად დაფიქსირებულ მიზნებს შორის არის მეორე სახლის მონახულება (8.4%), მკურნალობა, გაჯანსაღება (8.3%) და პროფესიული, ეკონომიკური საქმიანობა (2%). ვიზიტების 2.8%-ის შემთხვევაში დასახელდა ვიზიტის სხვა მიზანი.

ვიზიტის მთავარი მიზანი



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2024 წელს შიდა ვიზიტორთა მთლიანი ღამეების რაოდენობამ 28 მილიონს გადააჭარბა, ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობამ კი 1.5 ღამე შეადგინა. განთავსების საშუალებებში გათეული ღამეების მიხედვით, შიდა ვიზიტორების უმრავლესობა 59.1% მეგობრის, ნათესავის სახლში დარჩა, 24.8% საკუთარ სახლში, ხოლო 6.6% უპირატესობას სასტუმრო სახლს, ჰოსტელს ანიჭებს. ასევე მნიშვნელოვანი წილი უჭრავს ნაქირავებ ოთახს, სახლს (3.7%) და სასტუმროს (3.3%).

განთავსების საშუალებებში გათეული ღამეების განაწილება



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2024 წელს შიდა ვიზიტორთა მთლიანმა დანახარჯებმა 3.6 მილიარდ ლარს გადააჭარბა, ხოლო საშუალო დანახარჯმა ვიზიტზე 183.1 ლარი შეადგინა. დანახარჯებში ყველაზე დიდი წილი შოპინგზე (35.7%), საკვებსა და სასმელზე (24.8%) და ტრანსპორტზე (20.1%) მოდის. შიდა ვიზიტორებმა დანახარჯების 5.2% განთავსების საშუალებებზე გაწიეს, 1.1% მოდის რეკრეაცია, კულტურულ და სპორტულ აქტივობებზე, ხოლო 13% სხვა დანახარჯებზე.

დანახარჯების სტრუქტურა



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ვიზიტორთა ვიზიტების კმაყოფილების დონე შემდეგნაირად ნაწილდება: ვიზიტორთა 29% ძალიან კმაყოფილი დარჩა; 57.5% იყო კმაყოფილი; 12.1% - არც უკმაყოფილო, არც კმაყოფილი; 1.2% იყო უკმაყოფილო; 0.2% კი ძალიან უკმაყოფილო. ვიზიტორების 0.1%-ს კი უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. შესაბამისად, 5 ბალიანი სისტემიდან საშუალო კმაყოფილების დონე არის 4.12.

ტურისტული ვიზიტით კმაყოფილება



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მეთოდოლოგია

მონაცემები დაფუძნებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებზე. ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტები, რომელთაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში განხორციელებული ჰქონდათ ვიზიტი საქართველოში.

შიდა ტურიზმი - საქართველოს ტერიტორიაზე რეზიდენტების მიერ მათი ბუნებრივი გარემოს ფარგლებს გარეთ განხორციელებული ვიზიტი. იმისათვის, რომ ვიზიტს მიენიჭოს შიდა ვიზიტის კლასიფიკაცია, ერთდროულად ორი ლოკაციისა და რეგულარობის მეთოდი გამოიყენება. კერძოდ, ბუნებრივი გარემოს უკეთესად წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი ფაქტია შიდა ვიზიტი განხორციელდა თუ არა მუნიციპალიტეტის გარეთ. მეორე მეთოდი განსაზღვრავს კონკრეტულად ვიზიტის სიხშირეს, თუ შიდა ვიზიტორი სტუმრობს სხვა მუნიციპალიტეტს უფრო იშვიათად ვიდრე ორ კვირაში ერთხელ, ეს ვიზიტი არ განიხილება, როგორც რეგულარული.

დეტალური ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის www.gnta.ge და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე: www.geostat.ge